ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერალიტული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1931 წლის ნოემბრის 30.	№ 22 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საკმეთა მმართველობის მიერ გამოცემული:

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 244. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მინგეჩაურის წყალთსაცავის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად და გადასაწყვეტად ამიერკავკასიის კომიტეტის მოწყობის შესახებ.

„ 245. „ხეტყის დამზადებისა და გამოზიდვის გაძლიერების ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ოქტომბრის 16-ის დადგენილებისათვის მე-4[1] მუხლის დამატების შესახებ.

„ 246. არადასასწრეს სწავლების დაფინანსების შესახებ.

„ 247. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური დაზღვევის ამიერკავკასიის კომიტეტთან სოციალურ-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა სამმართველოს მოწყობის შესახებ.

„ 248. დაწესებულებებში წყვეტილი საწარმოო კვირის შემოღების შესახებ.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

244. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან მინგეჩაურის წყალთსაცავის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად და გადასაწყვეტად ამიერკავკასიის კომიტეტის მოწყობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

რადგანაც მინგეჩაურის წყალთსაცავის მშენებლობას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს როგორც ირრიგაციისა, ისე ენერგეტიკისა და მდინარე მტკვრის სამდინარეო ნაოსნობისათვის,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან მოწყობილ იქნეს, აზერბაიჯანის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ბუნიათ-ზადეს თავმჯდომარეობით, ამიერკავკასიის კომიტეტი მდინ. მტკვარზე მინგეჩაურის წყალთსაცავის მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა საკითხის შესასწავლად და გადასაწყვეტად და ამ მშენებლობის პრობლემების დამუშავებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად; კომიტეტი იმყოფება ქ. ბაქოში.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოვ. აღმსრ. **გ. ვეზიროვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. ნოემბრის 6.
№ 429.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

245. „ხეტყის დამზადებისა და გამოზიდვის გაძლიერების ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ოქტომბრის 16-ის დადგენილებისათვის მე-4[1] მუხლის დამატების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. ოქტომბრის 16--ის დადგენილებას „ხეტყის დამზადებისა და გამოზიდვის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 238 და „ზარია ვოსტოკა“-ს 294 №-ი 1931 წ. ოქტომბრის 25-სა) დამატოს მე-4[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 4[1]. კოლექტიური მეურნეობების მიერ მუშა-ძალის შეშა-ხეტყის დამზადებაზე წარმართვის სტიმულირებისათვის წინადადება მიეცეს ყველა ხეტყის დამზადებელ ორგანიზაციას დააწესოს კოლექტიური მურნეობებისათვის შემდეგი პრემიები და შეღავათები:

ა) კოლექტიური მეურნეობების გადიდებული დაპრემირება იმ კოლმეურნეთა რიცხვის შესაბამისად, რომელთაც სატყეო-სამეურნეო ორგანიზაციებთან დასდეს გარე-სამუშაოზე გასვლის ხელშეკრულებები;

ბ) ფულადი პრემია იმ კოლექტიური მეურნეობებისათვის, რომელთაც შეასრულეს ხეტყის დამზადებისა და გამოზიდვის საწარმოო დავალებანი; დავალების გადამეტებით შემსრულებელი კოლმეურნეობებისათვის დაწესებულ იქნეს გადიდებული რაოდენობის პრემია;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ხეტყის პროდუქციის მიცემა კოლექტიური მეურნეობის ხვედრი ფულადი პრემიის ნაცვლად და სასყიდლით ხეტყის პროდუქციის მიცემა კოლმეურნეთა ფაქტიური საშოვარის 5%-ის რაოდენობით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. ნოემბრის 17.
№ 422.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 316 №-ში 1931 წ. ნოემბრის 23-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

246. არადასასწრები სწავლების დაფინანსების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მასსური კადრების კვალიფიკაციის წარმატებისათვის არადასასწრები სწავლებით მომზადებას და აგრეთვე სახალხო მეურნეობისათვის საშუალო და უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტების გარდამზადების მოკლევადიან არადასასწრებ კურსებს აფინანსებენ სამეურნეო ორგანიზაციები სამუშაო ხელფასის იმ დანარიცხების ანგარიშზე, რაც დაწესებულია სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. აპრილის 27-ის დადგენილებით მუშა-ძალის მასსური მომზადებისა და სპეციალისტების დამატებითი სწავლების დაფინანსებისათვის (სსრკ კან. კრ. 1931 წ. 26 №-ი, მუხ. 213).

აღნიშნული დანარიცხებით დაიფარება მიმდინარე საადმინისტრაციო-სამეურნეო და სასწავლო ხარჯები (სამუშაო ხელფასი, საადმინისტრაციო, სამეურნეო და სპეციალურ-ოპერატიული ხარჯები), ხოლო მატერიალური უზრუნველყოფისა, საწარმოო პრაქტიკისა და სხვა მისთ. ხარჯები—ამ კადრების მომმზადებელ სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა სახსარით.

2. არადასასწრები სწავლების მოწყობა უშუალოდ თვით საწარმოში, არადასასწრები სწავლების განყოფილების შენახვა (კონსულტაცია, სათვალსაჩინო ხელსაწყოთი უზრუნველყოფა და სხვ. მისთ.) სწარმოებს სათანადო საწარმოთა სახსარით ამა დადგენილების მე-2 მუხ. აღნიშნული სამუშაო ხელფასის დანარიცხების ანგარიშზე.

3. სახსარი კადრების არადასაწრები სწავლებით მომზადებისათვის სამუშაო ხელფასის დანარიცხების ანგარიშზე გაიცემა ხელშეკრულებების საფუძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველზე, რასაც სამეურნეო ორგანოები დასდებენ არადასასწრები სწავლების განმახორციელებელ სათანადო სასწავლებლებთან.

4. კადრების არადასასწრები სწავლებით მომზადებისათვის საჭირო მუშაობის გასაუმჯობესებლად, ამ მუშაობის სასწავლებლებში გეგმიან გასაშლელად, აგრეთვე სწავლების თვისებისათვის კონტროლის დასაწესებლად შემოღებულ იქნეს ხელშეკრულებების საველდებულო დადება სამეურნეო ორგანოებსა და სათანადო სასწავლებლებს შორის.

5. წინადადება მიეცეს იმ სამეურნეო ორგანიზაციებს, რომელთაც განაცხადეს თანხმობა არადასასწრები სწავლების დაფინანსებაზე და დასდეს სათანადო ხელშეკრულებები, დაუყოვნებლივ შეიტანონ თავიანთი ხვედრი თანხები.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. ნოემბრის 17.

№ 426.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 326 №-ში 1931 წ. დეკემბრის 5-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

247. ა-კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური დაზღვევის ამიერკავკასიის კომიტეტთან სოციალურ-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა სამმართველოს მოწყობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1 სოციალური დაზღვევის ამიერკავკასიის კომიტეტის გამგებლობაში იმყოფება სოციალურ-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა სამმართველო.

2. აღნიშნული სამმართველო დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეულია, რომელიც მოქმედობს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე.

3. სამმართველოს აქვს იურიდიული პირის უფლებანი.

4. სოციალურ-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა სამმართველოს ძირითად ამოცანებს შეადგენს:

ა) განახორციელოს სოციალური დაზღვევის ორგანოების სოციალურ-პროფილაქტიკური ღონისძიებანი ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური დაზღვევის ამიერკავკასიის კომიტეტის დაწესებულებებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მოაწყოს ა/კსფსრ ფარგლებში სოციალურ-პროფილაქტიკური დაწესებულებანი და დამხმარე საწარმონი და მეურნეობანი;

შენიშვნა. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში სოციალურ-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა და დამხმარე საწარმოთა და მეურნეობათა მოწყობა დაეტოვებათ დამზღვევ სალაროებს;

გ) შეადგინოს დაწესებულებათა, საწარმოთა და მეურნეობათა საწარმოო-საფინანსო გეგმები და აგრეთვე კაპიტალური მშენებლობის გეგმები.

5. საწესდებო კაპიტალის რაოდენობას და აგრეთვე მისი დაფარვის წესს განსაზღვრავს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ ნოემბრის 26.

№ 425.

ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

248. დაწესებულებებში წყვეტილი საწარმოო კვირის შემოღების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შეუწყვეტელი ხუთდღიანი საწარმოო კვირა მიიჩნია შრომის ორგანიზაციის ძირითად ფორმად, ხოლო ა/კსფსრ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შეუწყვეტელი საწარმოო კვირის გატარების დროს მომხდარ ნაკლთა გამოსწორების მიზნით იგი ადგენს:

1. დატოვებულ იქნეს შეუწყვეტელ საწარმოო კვირაზე ყველა ის დაწესებულება და ორგანიზაცია, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია შეუწყვეტლად მომუშავე საწარმოსთან, და აგრეთვე მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო საკვირაოებათათვის მომსახურეობის გამწევი დაწესებულებები და ორგანიზაციები (კოოპერატიევები, სახელმწიფო მაღაზიები, სასადილოები, საავადმყოფოები, წყალსადენები, სახანძრო კომანდები, საცნობებო ბიუროები, თეატრები კლუბები და სხვა მისთ.).

2. სახალხო კომისარიატები და სხვა დაწესებულებები და ორგანიზაციები დროებით გადავიდნენ ექვსდღიან წყვეტილ კვირაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ექვსდღიან წყვეტილ კვირაზე გარდამავალ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში დადგენილ იქნეს შემდეგი გამოსასვლელი დღეები: ყოველი თვის 6, 12, 18, 24 და 30 რიცხვი.

შენიშვნა. თებერვლის ბოლოს მისაცემი გამოსასვლელი დღის ნაცვლად, გამოსასვლელი დღე მიიცემა მარტის 1-ს.

4. ექვსდღიან წყვეტილ კვირაზე გადასულ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სამუშაო დღე 7 საათიდან შემცირებულ იქნეს 6 საათსა და 30 წამამდე, მუშაობის შეწყვეტისათვის ნახევარი საათის ჩათვლით.

5. წინადადება მიეცეს ექვსდღიან წყვეტილ კვირაზე გარდამავალ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს—დააწესონ აპარატის სათანადო ნაწილის მორიგეობა.

6. ამიერკავკასიის სახალხო კომისარიატები, დაწესებულებები და ორგანიზაციები გადავიდნენ ექვსდღიან წყვეტილ კვირაზე 1931 ნოემბრის 30-დან.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს გამოსცენ ზემოხსენებულის საფუძველზე სათანადო დადგენილებები და, ამა დადგენილების 1-ლი მუხლის შესაბამისად, განსაზღვრონ ექვსდღიან წყვეტილ კვირაზე გადასასვლელი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ნუსხა.

8. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატმა და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა თვალყური ადევნონ ამა დადგენილების შესრულებას.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1931 წ. ნოემბრის 27.

№ 430.

ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 320 №-ში 1931 წ. ნოემბრის 28-ს.